თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 8

ქ. თერჯოლა

2 ივნისი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. იუზა უგრეხელიძე, 3. ბიძინა ბუცხრიკიძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. ნოდარი ხოხიაშვილი, 7. გიორგი ბერეკაშვილი, 8. ზურაბ ჩხიკვაძე, 9. სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი, 2. შალვა ჭანკვეტაძე, 3. მირზა აფრიდონიძე.

კომისიის შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 9
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 1 აპრილის №გ-29.2926091001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2826614986, 29.05.2026 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა მერს, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2954 კვ.მ. მიწის ნაკვეთის(ს.კ.33.05.36777) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282615210, 01.06.2026 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 1 აპრილის №გ-29.2926091001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - საპრივატიზებო ნუსხას ემატება 2 უძრავი ქონების ობიექტი და მეორადი სამშენებლო მასალა, რ/ბ ღრუტანიანი ფილა/სინკარი (32 ცალი). თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვრა 3920 ლარით, ჩხარში (მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა) – 33300 ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 1 აპრილის №გ-29.2926091001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბადრი ბუცხრიკიძემ, კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის განკარგულების პროექტი - მიეცეს თანხმობა მერს, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2954 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე(ს.კ.33.05.36777) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე. ერთი წლის საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვრება 1600 ლარით, შესაბამისად ორი წლის საწყისი საიჯარო თანხა ჯამში შეადგენს 3200 ლარს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა მერს, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2954 კვ.მ. მიწის ნაკვეთის(ს.კ.33.05.36777) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე).

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე